საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2719 2019 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №2033 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №2033 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი – კომისიის თავმჯდომარე;“;

ბ) პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.“;

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კომისიის საქმიანობის საორგანიზაციო და ტექნიკური უზრუნველყოფა განახორციელოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატმა.“.

2. „კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №2033 განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულმა უწყებებმა ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ თავიანთი წარმომადგენლების განსაზღვრა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატისთვის წარდგენა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**